პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 193 (12705) | კვირა, 18 აგვისტო, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.



სურათებზე: ეს თვითმფრინავები ბგერის სიჩქარეზე სწრაფად დაფრინავენ.

ფოტო გ. მაკაროვისა და ვ. კუნიავსკისა.

დიდება საბჭოთა სამშობლოს შევარდნებს!

18 აგვისტო საჰაერო ფლოტის დღე

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1963 წლის 18 აგვისტო № 195 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ავიაციის სპეციალისტებო, საავიაციო მრეწველობისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკებო, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენო-ავიატორებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდგომებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

წელს ავიაციის დღესასწაულს ჩვენი სამშობლო ხვდება ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებული თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, გმირულად შრომობენ სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის, წარმატებით ასრულებენ შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმას, უტევენ ახალ მიჯნებს კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ტრიუმფი, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეათა გამარჯვება მკაფიო დადასტურებაა საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ უმგალითო ხანგრძლივობისა და სირთულის გაფრენები, რომლებსაც მართავდნენ კოსმონავტი მფრინავები ვალერი ფედორეს-ძე ბიკოვსკი და ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

საბჭოთა ხალხის გმირული სამშობლოს ერთგული არმიისა და ფლოტის მეომრებს შთაგონებენ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც განუწყვეტლივ სრულყოფენ ჯარების საბრძოლო წვრთნას, საიმედოდ იცავენ საყვარელი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრებს და მუდამ მზად არიან გაანადგურონ აგრესორი, თუ იგი გაბედავს და დაარღვევს კომუნიზმის ნათელი შენობის მშენებელი ხალხის მშვიდობიან შრომას.

ავიაციის პირადი შემადგენლობის, ისევე როგორც არმიისა და ფლოტის ყველა მეომრის, ამოცანა ის არის, რომ დაუცხრომლად აიმაღლონ მხედრული ოსტატობა და საბრძოლო მზადყოფნა, იდეური წრთობა, გამოიჩინონ დიდი სიფხიზლე, შეეძლოთ ყოველ წუთს აგებმონ გამანადგურებელი დარტყმა აგრესორს.

მოგესალმებით და გილოცავთ თქვენ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — საჰაერო ფლოტის დღეს.

შეიარაღებული ძალების ავიაციის პირად შემადგენლობას ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ახალი ტექნიკისა და იარაღის ათვისებაში, ფრიადოსანთა და კლასის სპეციალისტთა ზრდაში.

ახალ მიღწევებს ვუსურვებ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პირად შემადგენლობას შვიდწლიანი გეგმის ამოცანათა შესრულებასა და თანამედროვე თვითმფრინავებისა და ვერტმფრინავების ათვისებაში; საავიაციო მრეწველობის მუშებს, კონსტრუქტორებს, ყველა მუშაკს — ახალი საავიაციო ტექნიკის შექმნაში; არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს — ახალი საავიაციო რეკორდების მოპოვებაში, საბჭოთა ახალგაზრდობას შორის ავიასპორტის განვითარებაში.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 18 აგვისტოს, მიცემულ იქნას სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ე. უორენთან, დ. პირსონთან და ა. მეიერთან

ბაგრა, 17 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც აქ დასასვენებლად იმყოფება, გუშინ მიიღო საბჭოთა კავშირის შავი ზღვის სანაპიროზე სამოგზაუროდ მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ე. უორენი, ამერიკელი ჟურნალისტი დრიუ პირსონი, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო მოღვაწე ა. მეიერი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მათთან.

ტერეშკოვა მოგზაურობს ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 17 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა **ვალენტინა ტერეშკოვამ** დღეს დაიწყო მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში. იგი ეწვევა ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებლობის მსხვილ ცენტრს ქალაქ პლზენს, ქალაქ კერორტს კარლოვი-ვარს, სლოვაკიის დედაქალაქს ბრატისლავას და მეტალურგთა და მაღაროელთა ქალაქ ოსტრავას.

ბრძოლა საბჭოთა ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსეული შეხვედრა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას!

თბილისელი ელმავალმშენებლები იწონებენ ზესჯაფონელი მეჯალურგების თაოსნობას

საბჭოთა გმირი ხალხი წარმატებით იბრძვის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებით მომზადებისათვის. ამ ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეაქვს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივს. შვიდწლიანი გეგმის განხორციელების პირველ წელსვე ჩვენი ქარხნის კოლექტივი შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულების ინიციატორად გამოვიდა და ვალდებულება ვიკისრეთ 1965 წლისათვის გთვალისწინებულ საპროექტო სიმძლავრისათვის მიგვეღწია 1963 წელს.

გაწეული მუშაობის შედეგები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ წარმოების კოლექტივი დაპირებას ნამდვილად გაანადგურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვიხდება სერიულ წარმოებაში მყოფი ელმავლის კვანძების გაუმჯობესება, შევქმენით ახალი ქართული ელმავალი და ვითვისებთ ახალი სამგზავრო ელმავლის წარმოებას, ქარხანა რენტაბელურად მუშაობს და სახელმწიფოსაგან დოტაციას არ საჭიროებს. პირიქით, სახელმწიფოს ეკონომიას ვაძლევთ. შარშან შრომის ნაყოფიერების ზრდის, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვის შედეგად მნიშვნელოვნად შევამცირეთ ელმავლების თვითღირებულება, მივიღეთ ზეგეგმითი ეკონომია და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 170 ათასი მანეთი შევიტანეთ.

შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეებიდანვე კიდევ უფრო გავაძლიერეთ მუშაობის ტემპი, უფრო რიტმულად ავაწყეთ მუშაობა და წლის პირველ ნახევარში გამოვუშვით 11.5 პროცენტით მეტი ელმავალი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

ეს წარმატებები მოპოვებულია ქარხნის ძველი კოლექტივის ბეჯითი, შემოქმედებითი შრომით. ეს ზღუდეები ავიღეთ ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით, მანქანა-დანადგარების წარმადობის გადიდებით, დანაკარგების შემცირებით, მეცნიერებათან მჭიდრო თანამეგობრობით, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ფართოდ გაჩაღებით.

ჩვენთან ამჟამად 48 ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებულია 288 კაცი, მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება, 144 კაცი ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს, ხოლო ხუთი საამქრო, 22 ბრიგადა და 360 დამკვრელი იბრძვის ამ საპატიო წოდებისა მოპოვებისათვის.

საქართველოს მშრომელებში ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ, რომ 1963 წლის 24 დეკემბერს მოწვეულია საქართველოს კომუნისტთა XXII ყრილობა. ჩვენი ქარხნის კოლექტივი გაეცნო ზესტაფონის ფერომენგანდნობთ-ქარხნის კოლექტივის წერილს, ერთსულოვნად მიიწონა მათი თაოსნობა, რათა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და ახალი შრომითი საჩუქრებით შევხვდეთ საქართველოს კპ XXII ყრილობას.

ყველა საამქროში და უბნებზე გულდასმით შევისწავლეთ რეზერვები და შესაძლებლობანი და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ:

1. წლიური გეგმა შეეასრულოთ ყრილობის გახსნის დღისათვის — 24 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ რამდენიმე ასეული ათასი მანეთის პროდუქცია;

2. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ავამაღლოთ 0,5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 0,5 პროცენტით.

3. დავზოგოთ 90 ტონა შავი ლითონი და 15 ტონა ფერადი ლითონი;

4. რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვით მივიღოთ 130 ათასი მანეთი ეკონომია;

5. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით და მასალების მომგირნედ გამოყენებით მივიღოთ 150 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ი. ზერეკიძე — ქარხნის დირექტორი, ა. მასხარაშვილი — ქარხნის მთავარი ინჟინერი, კ. გურული — პარტიული კომიტეტის მდივანი, ა. გლუნჩაძე — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. კერესელიძე — ამწყობი საამქროს უფროსი, დ. გიგაური — გრაგნილებისა და კოჭების საამქროს უფროსი, ვ. ვეფხვაძე — საპარატო საამქროს ოსტატი, ა. ლომიძე — სამანქანო საამქროს ოსტატი, მ. ხატიაშვილი, ვ. მარუშინი — კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები.

სურათზე: ქარხნის დირექტორი ი. ზერეკიძე წარმოების ინჟინრებს, საამქროთა უფროსებსა და ოსტატებს აცნობს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა ავიატორების დღესასწაული

მოსკოვი, 17 აგვისტო. (საკდესი). ტრადიციული დღესასწაულის — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში დღეს გაიმართა საზეიმო სხდომა.

დარბაზში იყვნენ საბჭოთა კავშირის მარშლები, ვენერლები და ადმირალები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ოფიცრები, სახელმოხვეჭილი ავიაკონსტრუქტორები. საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის პირველმა მოადგილემ, ავიაციის მარშალმა ს. ი. **რუდენკომ.**

საბჭოთა მფრინავებსა და კონსტრუქტორებს მიესალმნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **რ. ფ. დემენტიევა,** მსოფლიო რეკორდსმენი საპარაშუტო სპორტში **ვ. ვ. მარინიჩევა** და სხვები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

თბილისი. 17 აგვისტოს ოფიცერთა საოლქო სახლის პარკში გაიმართა ქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის ჯარების ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, გ. ხ. ძოწენიძე, რ. ი. ფრუიძე,** ჯარების გვარეულთა წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. მელაძემ.** მეუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მოხსენება საჰაერო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა ავიაციის გენერალ-მაიორმა **ფ. კოკარევმა.**

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი. პარკში მოეწყო საჭალხო სეირნობა. (საკდესი).

დიდი ლენინის პარტია

მოსკოვი. (საკდესის კორ.). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა რსდმ პარტიის II ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას.

მოხსენება — დიდი ვ. ი. ლენინის მიერ ახალი ტიპის პარტიის შექმნა — გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. მ. კუკინმა. მან მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რსდმ პარტიის მეორე ყრილობას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ახალი ეპოქის, მონოპოლისტური კაპიტალის ეპოქის მიჯნაზე, დიდი რევოლუციური კლასობრივი ბრძოლების წინ შეიქმნა პარტია, რომლის იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული პრინციპები იძლეოდნენ ერთადერთ სწორ პასუხს საერთაშორისო სამეცნიერო სესია ისტორიის ინსტიტუტში მუშათა მოძრაობის ძირეულ პრობლემებზე.

მომხსენებელმა სესიის მონაწილეებს გააცნო გამოსაცემად მომზადებული მრავალტომიანი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის“ პირველი ტომის მაკეტი.

ახალი კრებული

მოსკოვი, (საკდესის კორ.). სასოფლო სამეურნეო ლიტერატურის გამომცემლობამ ასი ათასი ტირაჟით გამოუშვა სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა დიდი კრებული. წიგნის მასალები მოიცავს პერიოდს 1917 წლიდან 1963 წლამდე.

კრებული იწყება დეკრეტით მიწის შესახებ. რომელსაც ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ დღეს. დასკვნის განყოფილებებში მოთავსებულია ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები — საბჭო.თა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მასალები და ნაწყვეტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან, რომლებიც ეხება ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ზეიმი ლუჟნიკში

დაიხურა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ. ტელეფონით). ერთი კვირის წინათ დედაქალაქის მშრომელები ლუჟნიკში სპორტსმენთა დიდი ფორუმის — სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალის მოწმენი იყვნენ, დღეს კი მათ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე კვლავ იხილეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მილეგონიანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები, ამჯერად სპარტაკიადის დახურვის ცერემონიალზე.

18 საათია, ცენტრალური ტრიბუნის წინ გამწკრივდნენ მედრშეები, მომმე რესპუბლიკათა, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა კოლონები. ფანფარების ხმა გვაფრთხილებს ზეიმის დაწყებას. სპორტის დამსახურებული ოსტატი **ვ. ბრუმელი** სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარეს **ი. მაშინს** უპატაჟებს პარადის მზადყოფნას. ი. მაშინი მიესალმება სპორტსმენებს და ულოცავს სპარტაკიადის წარმატებით დაგვირგვინებას.

მან აღნიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით საბჭოთა სპორტი მსოფლიოში ყველაზე მასობრივი და პროგრესული გახდა. სპორტსმენთა ამ ფორუმის დღეებში მოპოვებული წარმატებები იმის საწინდარია, რომ მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობაზე ტოკიოში ჩვენი სპორტსმენები კვლავ ასახელებენ სამშობლოს.

სპარტაკიადა არა მარტო უკანასკნელ წლებში მოპოვებულ წარმატებათა დემონსტრაცია იყო, არამედ ახალ გამარჯვებათა დიდი პაექრობა. **ასპარეზობის დღეებში დამყარებული იქნა მსოფლიოს 4, ევროპის 7, სსრ კავშირის 32 და რესპუბლიკათა 382 რეკორდი.** ხაზენები იქნა ოსტატის 807 და პირველთანრიგოსანი სპორტსმენის 915 შედეგები.

მოდ გადასცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზები. სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სპეციალური პრიზები, რომლებიც დაწესებული იყო ქალთა საუკეთესო კოლექტივებისათვის, გადაეცათ მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის, ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებს.

ალამის დასაშვებად მიემართებიან საუკეთესო სპორტსმენები. სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდსმენები, სპარტაკიადის ჩემპიონები. მათ შორის იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ოლიმპიური ჩემპიონი **რ. შავლაყაძე.** ალამი ნელ-ნელა ეშვება. ყოველ სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. სპორტსმენთა კოლონებმა მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნებს. მათ მოაცილებდა ათეულ-ათასობით მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში.

პარადის დამთავრების შემდეგ დაიწყო სპორტული შეჯვედრები ფაფთო პროგრამით. პირველივე გამოსვლაში საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა გენდმა ესტაფეტაში 4×200 მეტრზე მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. რაც 1 წუთსა და 34,7 წამს უდრის, რეკორდები დამყარებული იქნა აგრეთვე 8 შეჯიბრებაში.

დასასრულს შედგა მატჩი ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე დედაქალაქის სპარტაკსა და ცსკა-ს გუნდებს შორის.

ზეიმი ლუჟნიკში გვიან ღამემდე გრძელდებოდა. სპარტაკიადის დახურვა ჭეშმარიტად დიდი სპორტული მოვლენა იყო.

ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვევა ბულგარეთს

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბულგარეთის ხალხი ბედნიერ, ძმურ გრძნობებს ამჟღავნებენ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშალ ნ. ს. ხრუშჩოვის ბულგარეთში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით.

ბულგარეთის ხალხი ელოდებოდა ნ. ს. ხრუშჩოვის ბულგარეთში ჩამოსვლას, ეს ვიზიტი ბულგარეთის ხალხისა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა ნ. ს. ხრუშჩოვისადმი ღრმა პატივისცემის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი ალიანს

18 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

საშოგლოს მძლავრი ფრთები

ოცდაათი წლის წინათ, 1933 წლის 28 აპრილს, ავიაციის განვითარებაში წარმატებათა აღსანიშნავად და წითელი საჰაერო ფლოტის შექმნის მეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ დააწესა ყოველწლიური დღესასწაული — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე.

საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამყობენ იმით, რომ მათი სამშობლო გახდა ავიაციის აკვანი, რომ მსოფლიოში პირველი ვინთომფრინავი, რომელიც ა. თ. მოჟაისკიმ შექმნა, რუსეთის მიწიდან აფრიხდა. მ. ვ. ლომონოსოვმა, დ. ი. მენდელეევმა, მ. ა. რაკიჩევმა, კ. ე. ციოლკოვსკიმ, ნ. ე. ჟუკოვსკიმ, ს. ა. ჩაპლიგინმა და ბევრმა სხვა რუსმა მეცნიერმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ჰაერნაოსნობის თეორიასა და პრაქტიკაში და უკვე XX საუკუნის დამდეგისათვის გახდეს რუსეთი წამყვან ქვეყნად აეროდინამიკური კვლევის დარგში.

მფრინავმა პ. ნ. ნესტეროვმა პირველმა გამოიკვლია და ჰაერში შეამოწმა თვითმფრინავით უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების შესრულების შესაძლებლობანი. რუსი კონსტრუქტორები ქმნიდნენ იმ დროის მიხედვით პირველხარისხოვან ფრთოსან მანქანებს, მათ შორის მრავალმოტორიან ბომბდამშენებს, რომლებსაც მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვებოდა.

მაგრამ მეფის რუსეთის პირობებში, მისი ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, ავიაცია განწირული იყო უბადრუკი არსებობისათვის, ხოლო ამ დარგში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენანი არქივებში მტვრით იფარებოდა ან მათ უცხოეთის ფირმები ითვისებდნენ. რამდენიმე პატარა ნახევრადკუსტარული საწარმო, რომლებიც უცხოური თვითმფრინავების აწყობასა და რემონტზე მუშაობდნენ— აი რას წარმოადგენდა მეფის რუსეთი „საავიაციო მრეწველობა“.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაშალა ფრთები სამამულო ავიაციამ, მიიღო ყველა პირობა სწრაფი განვითარებისათვის.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ვ. ი. ლენინი ზრუნავდნენ საჰაერო ფლოტის შექმნისა და განმტკიცებისათვის, თვალსაწინენდნენ მის დიდ მომავალს. ვ. ი. ლენინი, წითელი არმიის მშენებლობაზე რომ მუშაობდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავიაციას, როგორც კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მძლავრ საშუალებას, მშვიდობიან პირობებში კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დიდმნიშვნელოვან საშუალებას. რევოლუციის დიდი ბელადი სწვდებოდა პირველი რევოლუციური საფრენოსნო რაზმების ჩამოყალიბებასთან, მომარაგებასა და საბრძოლო მოქმედებასთან, ავიაციო საწარმოთა ნაციონალიზაციასა და აღდგენასთან, მეცნიერთა და საავიაციო კონსტრუქტორთა მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს.

უკვე ოცი წლებში საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადამჭრელი ზომები საავიაციო მრეწველობის განვითარებისათვის, საბჭოთა საჰაერო ფლოტის აღჭურვისთვის თანამედროვე მანქანებით. ამისათვის არსებობდა მხოლოდ ერთი, ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზა — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის გზა, რომლითაც წაიყვანა ხალხი

კომუნისტურმა პარტიამ. ამ მტკიცე კურსმა შესაძლებლობა მოგვცა უკვე ოცდათიანი წლების დამდეგს მოგვეწყო პირველხარისხოვანი სამამულო თვითმფრინავების წარმოება.

ჩვენი სამშობლოს ცაში ზედიზედ იწყო გამოჩენა ახალმა თვითმფრინავებმა. საავიაციო კონსტრუქტორებმა შექმნეს ჩინებული ფრთოსანი მანქანები, რომლებიც თავიანთი საფრენოსნო-ტაქტიკური მონაცემებით უცხოეთის საუკეთესო ნიმუშს სჯობდნენ. ამ თვითმფრინავებით საბჭოთა ავიატორებმა მოახდინეს მთელი რიგი შესანიშნავი გადაფრენები, დაამყარეს სიშორის, სიჩქარის, სიმაღლისა და ტვირთამფენობის მრავალი მსოფლიო რეკორდი.

უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ შესანიშნავი ეპოპეა ყინულების ტყვეობიდან ჩელუსკინელთა ხსნისა, რომელში მონაწილეობისთვისაც შვიდ მამაც მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. შესანიშნავი მიღწევები იყო მძიმე თვითმფრინავთა ჯგუფის დასხდომა ჩრდილოეთი პოლუსის რაიონში, ვ. პ. ჩკალოვისა და მ. ნ. გრომოვის ეკიპაჟების უმაგალითო გადაფრენები ჩრდილოეთი პოლუსის გავლით ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბევრი სხვა.

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ საშუალება არ მოგვცა დაგვეძალებინა ჩვენი ავიაციის ხელახალი შეიარაღება. 1941 წლის 22 ივნისს მიწაზე და ჰაერში გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, დაიწყო დიდი სამამულო ომი.

კ. ვერშინინი,

ავიაციის მთავარი მარშალი.

□

მუშს სჯობდნენ. ამ თვითმფრინავებით საბჭოთა ავიატორებმა მოახდინეს მთელი რიგი შესანიშნავი გადაფრენები, დაამყარეს სიშორის, სიჩქარის, სიმაღლისა და ტვირთამფენობის მრავალი მსოფლიო რეკორდი.

უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ შესანიშნავი ეპოპეა ყინულების ტყვეობიდან ჩელუსკინელთა ხსნისა, რომელში მონაწილეობისთვისაც შვიდ მამაც მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. შესანიშნავი მიღწევები იყო მძიმე თვითმფრინავთა ჯგუფის დასხდომა ჩრდილოეთი პოლუსის რაიონში, ვ. პ. ჩკალოვისა და მ. ნ. გრომოვის ეკიპაჟების უმაგალითო გადაფრენები ჩრდილოეთი პოლუსის გავლით ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბევრი სხვა.

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ საშუალება არ მოგვცა დაგვეძალებინა ჩვენი ავიაციის ხელახალი შეიარაღება. 1941 წლის 22 ივნისს მიწაზე და ჰაერში გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, დაიწყო დიდი სამამულო ომი.

მტერთან ბრძოლებში საბჭოთა ავიატორებმა გამოიჩინეს მასობრივი გმირობა, სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება. ომის პირველ საათებშივე მფრინავმა ლ. გ. ბუტელინმა დაგვანახვა მამაცობის ნიმუში, გატარნა მტრის თვითმფრინავი. მოსკოვის ცაში ღამის ტარანი განახორციელა ვ. ვ. ტალალიხინმა. ნ. გასტელომ თავისი ცეცხლმოდებული ბომბდამშენი დაატეხა თავს მტრის ტანკების კოლონას. ფამისტთა ცხრა ბომბდამშენი ჩამოაგდო ერთ საჰაერო ბრძოლაში 1943 წლის აგვისტოში გამანადგურებელმა მფრინავმა ალექსანდრე გოროვეცმა. ასეთი მაგალითი მრავალზე მრავალი შეიძლება მოვიყვანოთ.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ თვრამეტ წელზე მეტი გავიდა. უაღრესად გაჭიანურებულ ამ წლებში საბჭოთა სამშობლო, უმაგალითოდ გაიზარდა მისი ძალა, სიმდიდრე, საერთაშორისო ავტორიტეტი. ახლა საბჭოთა ხალხის მხარდამხარ აშენებენ ბედნიერ ცხოვრებას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხები.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის ოცდამეათე წლისთავს საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ხვდებიან უმაგალითო პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ ახალი პროგრამის — ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტის განხორციელებასათვის ბრძოლით. წარმატებები ახორციელებს რა შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებებს, საბჭოთა ხალხი მშვიდად შრომობს, მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ.

გასული წლები აღინიშნა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე მიღწევებით კოსმოსური სივრცის დაპყრობაში, საბჭოთა ადამიანების მამაცობისა და ლენინიზმის საქმისადმი მათი ერთგულების ახალი მაგალითებით. კაცობრიობის ისტორიაში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ დაიწყო კოსმოსური ერა, დაანახვა, თუ რა მწვერვალების მიღწევის უნარი შესწევს ხალხს, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს.

1961 წლის 12 აპრილს დედამიწის გარშემო ორბიტაზე გავიდა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი“, რომელსაც მართავდა სსრ კავშირის მოქალაქე მაიორი ი. ა. გაგარინი. მის შემდეგ კოსმოსში გაიყვანეს თვიანთი ვარსკვლავმფრენები გ. ს. ტიტოვმა, ა. გ. ნიკოლაევმა. პ. რ. პოპოვიჩმა. ხოლო 1963 წლის ივნისში ერთობლივ მრავალდღიან კოსმოსურ ფრენაში ვ. ფ. ბიკოვსკისთან ერთად მონაწილეობა მიიღო კომუნისტმა ვალენტინა ვლადიმერის-ასულმა ტერეშკოვამ — მსოფლიოში პირველმა კოსმონავტმა ქალმა. ჩვენ, საბჭოთა ავიატორები, ვამაყობთ ჩვენი კოსმონავტების შესანიშნავი წარმატებებით, იმით, რომ სწორედ ჩვენი სამამულო ავიაცია გახდა კოსმონავტიკის აკვანი.

საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალები განელილ წლებში უაღრესად შეიცვალნენ, თვისებრივად სულ სხვა, განუზომლად ეფექტური ძლიერი გახდნენ, ვიდრე ახლო წარსულში იყვნენ.

დაძაბული საერთაშორისო ვითარება, რომელიც გამოწვეულია დაავლეთის იმპერიალისტური წრეების ხრიკებით, მოითხოვს არმიის, ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღჭურვას ყველაზე სრულყოფილ სახეობათა იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით, მოითხოვს იმას, რომ ისინი მუდამ გეყავდეს მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში. ამ პირობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით სსრ კავშირის ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ტექნიკურ აღჭურვაში გასულ წლებში განხორციელებულია ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები, რომლებმაც ისინი უმაგალითოდ მრისხანე ძალად გადაქცია.

განხორციელდა აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების სრული ხელახალი აღჭურვა. თვითმფრინავების მოძველებული ტიპები შეცვალა ზებგერითმა ოკეტმხიდავმა საჰაერო ხომალდებმა, რომლებსაც შეუძლიათ ზუსტი, გამანადგურებელი დარტყმები მიაყენონ მოწინააღმდეგის ყოველ ობიექტს, სადაც უნდა იმყოფებოდეს ეს ობიექტები.

თანამედროვე ზებგერითი რაკეტმხიდავი თვითმფრინავი წარმოადგენს რადიოელექტრონული აპარატურის, ავტომატური სისტემების, კობერნეტიკულ მოწყობილობათა ურთულეს კომპლექსს. ასეთი თვითმფრინავის მართვა, ფრენის ზებგერითი სიჩქარით, ღრუბლებში, სტრატოსფეროში მტრისთვის დარტყმების ეუცდენლად მიყენება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მუდამ სრულყოფს პროფესიულ ცოდნასა და ჩვევებს, ყოველდღე, ყოველ საათს სწავლობს იმას, რაც ომში დასჭირდება, ყოველთვის შემოქმედებითად, ინიციატივიანად მოქმედებს.

სამხედრო-საჰაერო ძალების პირადმა შემადგენლობამ დიდ წარმატებებს მიაღწია თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის დაუფლებაში, ბეჯითად ითვისებს საბრძოლო მოქმედების ახალ ტაქტიკურ ხერხებსა და წესებს, ყოველდღიურად იმაღლებს საბრძოლო ოსტატობას.

საბჭოთა ავიატორების ახალი თაობა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან ერთად — ეს მაღალი კულტურის, დარეული სამხედრო და პოლიტიკური ჰორიზონტის მქონე ადამიანები, მანევრისა და ცეცხლის ნამდვილი ოსტატები არიან. სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმე, უაღრესად სრულყოფილი საბრძოლო ტექნიკა საამედო ხელშია.

• • •

სურათზე: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიული სამმართველოს მოწინავე მფრინავები: (მარცხნიდან) ბ. ავაქოვი, ეკიპაჟის უფროსი ვ. ჭელიძე და ვ. ნერეთლიშვილი მორიგი გაფრენის წინ.

ფოტო გ. გოგობიასი.

ბარათი

ვალენტინა ტერეშკოვას

ინგლისურიდან

მზის შვილობილო, მთვარის დაო, ქვეყნად ანათებ
დევგმირის თვალით, ქალის კდემით და სიროსტანით,
ვიცი — ყოველდღე იღებ ბარათებს,
გადაიღალა ალბათ ფოსტა მათი მოტანით.

ამიტომ ბარათს, ლექსად ნაწერს, ამ გაზეთს ვატან,
მსურს ვთქვა დიდება ამ უკვდავი და დიდი დღისა,
და ოცნებაში იმ ღიმილს ვხატავ,
თვალზე რომ შუქად გადაგივლის მისი კითხვისას.

მაშ ასე. გწერ მე — შვილი თაობის,
რომელმაც ომში აახილა კაცობის თვალი,
შენ ძმად გერგები — მამაშენთან ერთად ნაომი,
მე მამაშენის გამომყვა ვალი.

მან გააცივა ალბათ ჩემი წილი ლითონი,
ცხელი ლითონი, რომ მოჰქონდა სიკვდილი ცივი,
სიკვდილთან ომში მოკვდა თვითონ ის,
რომ აეკინძა მის ქალიშვილს ვარსკვლავთა მძივი.

ახლა კოსმოსის ოკეანეს ჰკვეთს შენი აფრა,
მთვარე, ვით ბურთი ბავშვობისა, შენს წინ მოგორავს.
გადაიქეცი სასწაულად, ლეგენდად, ზღაპრად
ჩვეულებრივი და უბრალო რუსი გოგონა,

შორი კოსმოსი აპრილივით გადაალურჯე,
გადაამწვანე სინედლით და ახალგაზრდობით,
შენ იქეც ხალხის აუწონავ, დიად საუნჯედ,
როცა დაკარგე ცაში წინა უწონადობით.

მესმის შენი ხმა — ვაჟკაცური და შემმართველი,
ახლა მზე და შენ ერთად ღებავთ აისს და დაისს,
შენი ღიმილი თვით შორეულ პლანეტებს სწვდება,
შენს გზას გაჰყურებს სიამაყით ქალიც ქართველი,

შენ ყველას და ხარ, საყვარელი, ძვირფასი და ხარ,
კაცობრიობის ისტორიის ტალღა ახალი,
და მიხარია, რომ ჩვენს მაღალ მამულში დახვალ
მზესთან ნამგზავრი მზეთუნახავი.

დაო ვალია, ვალენტინა, მე შენს ვალში ვარ,
ვალშია ყველა კონტინენტის ყველა პოეტი,
ახალი ლექსის და სიმღერის აფრა გაშლილა,
შენ რომ დასჭიმე მზესთან შენი სიახლოვეთი.

ამ ვალს ვერ მომხდის ეს პატარა ლექსი-ბარათი,
ძნელია შენი საკადრისი სიტყვის მოძებნა,
მე მთელი კვირა ამ თეთრ ფურცლებს კალმით ვღარავდი,
მაგრამ ღირსეულ სიმღერის თქმა მრჩება ოცნებად.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

ევვარდენი ერგნეთიდან...

საფლავი იპყრობს ყურადღებას. რაც უნდა ეჩქარებოდეს მგზავრს, შეჩერდება, ან მზერას შეაჩერებს ან ფიქრს. ამის მიზეზია პროპელერი საფლავის თავზე. არის ასეთი საბეჭდავი ცხენვალ - გორის გზაზე. ეს ერგნეთის სასაფლაოა. მგზავრს უცებ გაუელვებს აზრი: ალბათ ამ საფლავში წევს მფრინავი და ეს პროპელერიც იმ თვითმფრინავისაა, რომლითაც ის ცის სივრცეებს სერავდა.

დიახ, ის იყო მფრინავი — ერგნეთიდან აფრენილი შეევარდენი. როგორ დაიწყო მისი საბრძოლო დიდების გზა, სად აფრინეს ფოლადის ფრთებმა?

ოცი წლისა იყო დიმიტრი, როცა ულიანოვსკის მფრინავთა სკოლა დაამთავრა. ეს იყო სამამულო ომის მრისხანე დღეებში. 1942 წელს სწავლობდა ფრენას ლიახვის ნაპირზე გაზრდილი ჭაბუკი.

საფრენოსნო საქმის სწავლის დროს დიმიტრი ჩლაჩიძის მახვილი უური შეეჩვია მისთვის მანამდე უცნობ სატყვებს: აფრენა, ვირაჟი. ამობრუნება. შტურმი.

1943 წლის თებერვლის ბოლოდან დიმიტრი ჩლაჩიძე იწყებს საბრძოლო ფრენას მტრის თავზე. მრისხანე დღეები იყო: მტერი თარეშობდა საბჭოთა მიწა-წყალზე, რომლის დროებითი ოკუპაცია მოეხდინა.

მძვინვარებდა ფაშისტი მხეცი. მისი სისხლიანი ტოტალური ბილწავდა ყოველივე კარგს — კულტურას, რევოლუციურ ტრადიციას, ხელოვნების ძეგლებს...

ერგნეთში გიორგი ჩლაჩიძის სახლში შენახულია ზონარგაყრილი დალუქული წიგნი, რომლის ყდაზე წერია: „მფრინავის წიგნაკი. როგლოს მეთაური უფროსი ლეიტენანტი დ. გ. ჩლაჩიძე“. ეს არის მიტოს ხელით დაწერილი ვარდისფერი მელნით გამოყვანილი ლამაზი ასოები. მფრინავის პირადი წიგნაკი მოგვითხრობს ომის მკაცრ დღეებზე, როცა სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს ებრძოდა ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერში.

ახლა დიმიტრი ჩლაჩიძე დუმს. ამის გამო სევდა ისადგურებს ყველას ვინც, ვინც მას იცნობდა. მაგრამ მფრინავის პირადი წიგნაკი ადამიანივით საუბრობს გადახდილ ბრძოლებზე:

1943 წლის მარტიდან დეკემბრამდე დიმიტრი ჩლაჩიძემ მოახდინა 218 გაფრენა, აქედან 162 საბრძოლო გაფრენა.

მამაცმა მფრინავმა გადაიხადა 48 საჰაერო ბრძოლა. ჩამოაგდო მტრის რვა თვითმფრინავი.

ვფურცლავთ მფრინავის პირად წიგნს. ფურცლების შრიალში ისმის ნაცნობი ხმა:

1944 წელი. დევგმირი საბჭოთა არმია რკინის ნიაღვარივით მიიწევს წინ, ტეხს მტრის წინააღმდეგობას, ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს ფაშისტური სიბილწისაგან.

მარტო იმ დაუვიწყარ წელს დიმიტრი ჩლაჩიძემ მოახდინა 159 გაფრენა, აქედან საბრძოლო გაფრენა — 60. შეევარდენმა 14 საჰაერო ბრძოლა გადაიხადა და ყველგან გამარჯვებული გამოვიდა.

ძნელია ბრძოლა მიწაზე, მაგრამ სულ სხვაა ბრძოლა ჰაერში. იქ არის ბრძოლის უმაღლესი მწვერვალი. შენ დამოკიდებული ხარ მოტორზე. მოტორი დამოკიდებულია შენზე. დიმიტრის თავისი თვითმფრინავით უმკაცრესი ბრძოლები გადაუხდია. ბევრჯერ მარტო შებმია მტრის სამ-ოთხ თვითმფრინავს. ასეთ შემთხვევაში ის მომალული იყო ღრუბლებში დიდ სიმაღლეზე. შემდეგ უეცრად გამოჩენილა და სათითოოდ ჩამოულაგებია ძირს მტრის თვითმფრინავები. სიმაღლე არ აშინებდა მამაც მფრინავს,

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს შესანიშნავი მფრინავის დამსახურება: 1943 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით, 1944 წელს — წითელი დროშის ორდენით, 1945 წელს კვლავ წითელი დროშის ორდენით;

ასეთი იყო ის, „ჩვენი მიტო“, — როგორც მისი ცხინვალელი ამხანაგები და მეგობრები ამბობენ.

ქუხდა დიმიტრი ჩლაჩიძე სამამულო ომის ფრონტებზე, ბრძოლებში მეგობრობდა ოსი ხალხის სახელოვან შვილთან საბჭოთა კავშირის გმირ ვასილ ჩოჩიევთან. ამ ორმა არწივმა თავის წოლად, როგორც იტყვიან, მტერს სულის მოთქმა არ აცალა.

... დიმიტრის საფლავზე ყვავილების მიმტანთა შორის ხშირად შენიშნავთ სახით მამის მსგავს გოგონას — ეს მამაცი მფრინავის ერთადერთი გოგონაა, მეათეკლასელი ფრიადოსანი ლარა (ისიც იმ სკოლაში სწავლობს, სადაც დიმიტრი სწავლობდა). გოგონა დიდხანს შუბლშეკრული ჩერდება მამის საფლავთან. მამის გმირობა ანათებს და ამშვენებს მის მოგავლს.

ლამაზია გმირის სოფელი ერგნეთი.

მარად ახსოვს თავისი შეევარდენი შრომაში გართული სოფელს...

ს. ყურაშვილი.

ბორის რაიონი.

ორი კვირა დარჩა პირველ სექტემბრამდე

სიჯყვას — საქმე მოჰყვეს!

კიდევ რამდენიმე დღე და პირველი ზარი დაირეკება. მზემოკიდებული, ჯანსაღ მოსწავლეები მიეჯდებიან მერხებს და ენერგიულად შეუდგებიან სწავლას. და აი ბავშვებმა, რომ თქვან კარგი, მადლობთ აღმზრდელებო, ამისათვის ბევრად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სკოლების ახალი სასწავლო წლის მომზადებისათვის. ამ მხრივ სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა ზესტაფონის რაიონში. მიმდინარე რემონტი რაიონის 138 სკოლიდან 112-ში დამთავრდა. აღწერილია პირველ კლასში მისაღები და სკოლას ჩამოცილებული მოზარდები... ამასთან ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკოლების შენობების მიმდინარე რემონტი ღორეშის, კვახჭირის, ბოსლევის საშუალო, სანაბშირის, ნაგარევის, ბაზალეთის რვაწლიან, ზედა სიმონეთის, ჩიხორის, ზედა ილმის, მარტოფუნების დაწყებით და ზოგიერთ სხვა სკოლაში. ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი ოთახების მისაშენებელი სამუშაოები ნახშირელის, ხუნევის, ტაბაკინის, რკვის და ზოვრეთის სკოლებზე, ხოლო კვალითის, ახალ თერჯოლის, ბაზალეთის, ალავერდის სკოლების შენობებზე დღემდე არ დაუწყიათ ოთახების მაშენება. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა ბავშვთა არმია რკინის ნიაღვარივით მიიწევს წინ, ტეხს მტრის წინააღმდეგობას, ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს ფაშისტური სიბილწისაგან.

ბოსლეთის, სახაბშირის, ხაგარეულის, ბაზალეთის რვაწლიან, ზედა სიმონეთის, ჩიხორის, ზედა ილმის, მარტოფუნების დაწყებით და ზოგიერთ სხვა სკოლაში. ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი ოთახების მისაშენებელი სამუშაოები ნახშირელის, ხუნევის, ტაბაკინის, რკვის და ზოვრეთის სკოლებზე, ხოლო კვალითის, ახალ თერჯოლის, ბაზალეთის, ალავერდის სკოლების შენობებზე დღემდე არ დაუწყიათ ოთახების მაშენება. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა ბავშვთა არმია

სასკოლო შენობების შეკეთებისა და საკლასო ოთახების მიშენების საქმეში არსებული ასეთი სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ მოიჯარადრე ორგანიზაციები — ზესტაფონისა და თერჯოლის საოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოები, თერჯოლისა და ოოჯონიკიძის სარემონტო სამშენებლო უბნები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. ამასთან კოლმეურნეობებიც არ უწევენ სკოლებს საჭირო დახმარებას. სკოლების სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი ამ დღეებში განიხილა საქართველოს კპ ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიუროომ და მიიღო სათანადო დადგენილება სკოლების რემონტის დროულად დამთავრებისათვის.

საჭიროა დადგენილების საქმე მოპყვეს.

ვ. კუტალაძე.

ასე არ ვარგა, თავკაცებო!

— სკოლაში სწავლობ, ბიჭიკო?

— კი, მეოთხე კლასში გადავედი.

— სად არის შენი სკოლა?

— აი იქ, ქვის შენობაში.

— ეტყობა, კარგი სკოლა გაქვთ! ალბათ კარგადაც სწავლობ!

— მე... არა მიშავს რა, კარგად ვსწავლობ, ორი ოთხიანი გამომყვა... სკოლაზე რა მოგახსენოთ! წვიმიან ამინდში ვერაად ვერ დადგები.

— ეს ვერ არის კარგი! მერე და ვერ გადახურეს?

— მასწავლებლებმა გვითხრეს, წელს როგორმე გავუძლოთ და ზაფხულში გადახურავენო. მაგრამ...

ასეთ დიალოგს მოვუსმინე უცხო კაცსა და ერთ შქმერელ შავტუხა ბიჭუნას შორის.

დავინტერესდით და აი რა გამოირკვა. სკოლის სახურავი სიძველის გამო მთლიანად შეცვლას საჭიროებს. წელს ამბროლაურის განათლების განყოფილებამ დროულად შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია, გამოიყვეს თანხა 500 მანეთი, ჭიორელმა კოლმეურნეებმა შქმერის 8-წლიანი სკოლისათვის 40 კუბური მეტრი უკვარი დაამზადეს. ერთი სიტყვით, თავიდან საქმე კარგად წარიმართა. მაგრამ აგვისტო გადის, ხეტყმზერი დგება და სკოლის მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის შქმერში არავის მოაგონდა.

სოფლის თავკაცებმა ამ მხრივ თავი არ შეიწუხეს და არაფერი არ გააკეთეს. სკოლის შეფად აქ კოლმეურნეობა ითვლება. ეს მხოლოდ ფორმალურად, ქაღალდზე! კოლმეურნეობამ ზაფხულის განმავლობაში სახურავი უკვარიც კი ვერ შემოზიდა, დღემდე არ არის დაკომპლექტებული დურგალთა ბრიგადა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი გაგნიძე უპასუხისმგებლოდ აცხადებს, ჩემი ბრალი არ არის, ამინდს მოჰკითხეთ, მუდამ წვიმსო...

სკოლის რემონტის ჩაშლაში მარტო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს როდი მიუძღვის ბრალი. რას აკეთებს შქმერის აასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ დაუშვილი? რას ფიქრობს სკოლის დირექტორი ბაგრატ დაუშვილი? რატომ არ ატეხენ განგაშს?

ასე არ ვარგა, შქმერელო თავკაცებო!

ვ. ციბერაძე,

„კომუნისტის“ საქ. კორ.

ფრთაშესხმული ოცნება

• ახალი სიცოცხლე ნოღაეთის ცისქვეშ •

უოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გვესმის: საავტომობილო ტრასა, საჰაერო ტრასა, საზღვაო ტრასა... ამ ტრასებით დაჭქრიან ავტომანქანები, დაფრინავენ მძლავრი ლაინერები, ტალღებს მიარღვევენ ხომალდები. ეს ტრასები მარადმომქმედი სისხლძარღვებია, რომლებიც კავკავენ ჩვენი სამშობლოს გიგანტურ სხეულს. რაც დრო გადის, მით უფრო მრავლდება ახალი ტრასების, იბადება ახალი გზები, საბჭოთა ადამიანებმა დასაბამი მისცეს კაცობრიობის ისტორიაში უბადრო ტრასას — კოსმოსური ხომალდების საფრენ ტრასას, მაგრამ შესაძლოა ბევრმა არ იცის, რომ ამასთან ერთად არსებობს ცხენის გადასარეკი ტრასები, გადაჭიმული მთებიდან მთებამდე, ტრამალებიდან ტრამალებამდე. ამ ტრასების ავკარგიანობაზეც არის დამოკიდებული ჩვენი ცხენის გამრავლების საქმე.

ძვირფასო მკითხველო! ზაფხულის ამ მშვენიერ დღეებში, როცა მთელი ქვეყანა ერთ მოხატულ ბაღს ჰგავს, ძალიან გვინდა თქვენთან ერთად შემოვიაროთ ჩვენი რესპუბლიკის ცხენის ტრასები, გავიგოთ, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს მათი კეთილმოწყობისათვის, როგორ იცვლიან სახეს საზამთრო საძოვრები და მთის იალაღები...

პირველ რიგში ნოღაეთის ტრასას გავყვეთ. გავიაროთ საქართველოს სამხედრო გზის ის მონაკვეთი, რომელიც არაგვის მხიერი ხეობაში მიიკლაკნება, მერე მლეთის აღმართებით ავიდეთ კაიშაურის ველზე, გადავლახოთ მრისხანე ბიდარა და კელავ დაკლაკნილი გზით დაეშვეთ დარიალის ვიწროებში.

ნუ შეგაშინებთ თერგის გაუთავებელი მუქარა, დღეს ის პირველად როდი იმუქრება, მაგრამ ჯერ ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ ადამიანს დაეწყვალოს. ნურც მყინვარის სიცივე შეგაკრთობთ. მართალია, გარეგნულად ისიც პირქუშია, მაგრამ გულით არც ის არის ბოროტი, წელწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე თერგი და მყინვარი აცილებენ ხოლმე ჩვენს მამაც მეცხვარეებს, როცა ისინი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მიდიან, ანდა აქეთ ბრუნდებიან.

აი რჩდილოეთ კავკასიის უკიდეგანო ტრამალები. ამ ტრასით ჩადიან ხოლმე ჩვენი რესპუბლიკის ცხვრის ფარები ნოღაეთის ზამთრის საძოვრებზე.

სანამ თერგის ნოღამდე მივალთ, რომლის ერთ ნაპირას თეთრი ბატებივით გაფანტულან სტანიცა იშჩორსკაიას სახლები, გავიხსენოთ, რომ საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში მეცხვარეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და უმთავრესად მომთაბარე ხასიათს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცხვარეობის ძირითად საკვებ ბაზად ითვლება ზამთრისა და ზაფხულის საძოვრები. აქედან ცხადია, რომ, რაც უფრო მეტი საძოვრები გვექნება, მით უფრო გამრავლდება ცხვარი. ამ შვიდოიდე წლის წინათ კავკასიონის მთა-ბარ ქედზე განლაგებული ყველა საძოვარი რიდი იყო ათვისებული. საძოვარი რომ გამოიყენონ, საჭიროა გქონდეს მისასვლელი გზები და წყალი. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დამატებით ათვისებულია ახალი საძოვრები ფშავ-ხევსურეთში 20 ათას ჰექტარამდე, მთათუშეთში — 10-12 ათასი ჰექტარი, სამხრეთ ოსეთში — 6 ათას ჰექტარამდე.

...სტანიცა იშჩორსკაიას მიდამოები ნამდვილი ოაზისია ნოღაის ველთან შედარებით, მდინარის ნაპირას დაბურულ ტყეში ისმის ათასნაირი ფრინველის ყივილ-ხივილი. უნდა ნახოთ, რა სიამოვნებით იგრილებენ შუბლს დასიცხული მწყემსები, როცა ზამთრის საძოვრებიდან ბრუნდებიან:

— გამარჯობა, თერგო, ჩვენებურო! თერგი კი თითქოს გადიდკაცებულა და ნელნელა მიეშურება ზღვისაკენ...

უწინ ქართველ მწყემსებს, როცა ისინი იშჩორსკაიას უახლოვდებოდნენ, ყოველთვის სადარდელად ჰქონდათ, როგორ გადაეყვანათ ცხვარი თერგზე, ამ რაიონში ხიდი არ იყო და იდგა ერთი ცოდო-ბრალი. ამასაც ეშველა, საქართველოს მთავრობის დახმარებით თერგზე აშენდა ხიდი. დროთა ვითარებაში იგი დაზიანდა, ახლა კი ადამიანის გულს ახარებს რკინაბეტონის ლამაზი ხიდი, რომლის აგება 100 ათას მანეთზე მეტი დაჯდა.

იშჩორსკაიას მახლობლად იწყება მეოთხე ტრასა, რომლის გაკვლა სიკვდილივით ეკავებოდათ მწყემსებს. ეს ველები ადრე გაზაფხულდანვე გადაყვითლდებოდა ხოლმე, ზზირად უბერავდა შუა აზიის უდაბნოთა ხორშაკი, იგი სპობდა ყოველგვარ ცოცხალს. მე თვითონ მინახავს მოულოდნელად ავარდნილი მტვრის კორიანტ

საერთაშორისო
დეკენური ცხოვრება
ცხოვრება

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები გერმანულ ენაზე

დასავლეთი ბერლინი, 16 აგვისტო. (საკდისი). ათასობით დასავლეთბერლინელ მცხოვრებს შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს ნ. ს. ხრუშჩოვის იმ სიტყვების სრულ ტექსტს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს წარმოთქვა მიმდინარე წლის ივნის-ივლისში.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დასავლეთ ბერლინის საზოგადოებამ ეს სიტყვები ცალკე ბროშურად გამოსცა გერმანულ ენაზე.

ნერუ: ინდოეთი ისწრაფვის, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს უთანხმოება

დელი, 16 აგვისტო. (საკდისი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, როცა დღეს პარლამენტში გამოვიდა, კვლავ განაცხადა, რომ ინდოეთი ისწრაფვის მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოს უთანხმოება ჩინეთთან.

ჩინეთის აგრესიულმა პოზიციამ, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა, „მკაფიოდ იჩინა თავი ამ უკანასკნელ თვეებში არა მარტო ინდოეთის მიმართ, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის უფრო ფართო სფეროში, მათ შორის ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ ახლახან ხელმოწერილი ხელშეკრულების მიმართაც.

ჩვენ ვიმედოვნებთ, — თქვა ნერუმ, — რომ მაინც გაიმარჯვებს უფრო ბრძნული მიდგომა, და ჩინეთი დაადგება მშვიდობის გზას. გვინდა, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს ჩვენი სასაზღვრო უთანხმოება ჩინეთთან“.

ალტაცებული შეხვედრები

პრაღა, 17 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. მასლენიკოვი იტყობინება: გუშინ ვალენტინა ტერეშკოვა შეხვდა ჩეხოსლოვაკიელ ფეიკრებს. ეს საინტერესო შეხვედრა დიდხანს დარჩება როგორც კოსმონავტის, ისე ქალაქ ბეროუნის მცხოვრებთა მეხსიერებაში.

ბულონბილად, ნამდვილი ჩეხოსლოვაკიური სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ ფაბრიკა „ტიბა-ბეროუნის“ მუშები ვალენტინა ტერეშკოვას, რომელიც მივიდა იქ ჩეხოსლოვაკიის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის გელენა ლეფლეროვას, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის ნ. პ. კამანინისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სხვ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ვ. ფ. ნიკოლაევის თანხლებით. ფეიკრებმა დიდი სიხარულით დათვალიერებინეს საბჭოთა მეგობარს საამქროები, საწარმოში დადგმული ახალი მანქანები.

შემდეგ კოსმონავტი იყო ლიდიცეში, პატარა სოფელში, რომელიც ცნობილია მთელ მსოფლიოში. მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰიტლერელები სასტიკად გაუსწორდნენ ჩეხოსლოვაკიის ამ სოფელს, მისი კვალიც კი არ დატოვეს დ. დახვრიტეს სოფლის მცხოვრებლები.

ვალენტინა ტერეშკოვამ გაიარა ვარდის ფურცლებით მოფენილ გზაზე, ბაღში, სადაც ხარობს პლანეტის თითქმის ყველა ქვეყნის ვარდები. იგი მივიდა ძეგლთან, ასაფლავოსთან, რათა პატივი ეცა ლიდიცეს გმირთა ხსოვნისათვის. ვ. ტერეშკოვამ საფლავი შეამკო გვირგვინით, რომელზეც წარწერილია: „ფაშიზმის მსხვერპლთ ლიდიცეში. ვალენტინა“.

შემდეგ სტუმარმა დათვალიერა ახალი სოფელი, იყო სახალხო სბჭოში, სადაც ჩანაწერი დატოვა საპატიო სტუმართა წიგნში.

შემდეგ ვალენტინა ტერეშკოვა პრაღაში დაბრუნდა.

საღამოთი იულიუს ფუჩიკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა საბჭოთა კოსმონავტის შეხვედრა პრაღის ახალგაზრდობასთან და მშრომელებთან.

ხელმოწერა გრძელდება

ვაშინგტონი, 16 აგვისტო. (საკდესი). დღეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ხელი მოაწერეს გენესუელამ, კოლუმბიამ და ლიბიამ. ამრიგად ვაშინგტონში ხელშეკრულებას სულ ხელი მოაწერა 60 ქვეყანამ.

ზეიმი ჯაკარტაში

ჯაკარტა, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდონეზიელი ხალხი აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს — ინდონეზიის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-18 წლისთავს.

მორთულ-მოკაზმული გამოიყურება რესპუბლიკის დედაქალაქი ჯაკარტა, რომელიც თითქოს გაახალგაზრდავდა დ ადღესასწაულთან დაკავშირებით.

დილის რვა საათისათვის სტადიონის ტრიბუნები, რომლებიც დაახლოებით 100 ათას კაცს იტევენ, მოლიანად გაჩენდა ხალხით.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პრეზიდენტ სუკარნოს, რომელმაც სიტყვით მიმართა ხალხს.

ბელგია. მთავრობის ანტიგლეხური აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ, ფერმერთა გადასახადების გადიდების წინააღმდეგ ამას წინათ პროტესტი განაცხადა 5.000-ზე მეტმა კაცმა. რომლებიც დემონსტრაციაზე ჩავიდნენ ქალაქ მონსში. მიუხედავად პოლიციის აქტიური წინააღმდეგობისა, გაიმართა ფერმერთა მსვლელობა ქალაქის ქუჩებში.

ფოტო ადნ-საკდესისა.

ძმური დახმარება

ბელგრადი, 16 აგვისტო. (საკდესი). დღეს სკოპლეში ჩავიდა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი იმ მიზნით, რომ შეისწავლოს კომპლექსური სახლთსაშენებელი ქარხნის მშენებლობის პირობები. ეს ქარხანა საბჭოთა კავშირმა აჩუქა იუგოსლავიას, რითაც ძმური დახმარება გაუწია სკოპლეს აღდგენის საქმეში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაზარალდა ძლიერი მიწისძვრის შედეგად.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **პერუს** პრეზიდენტმა ბელაუნდე ტერომ დაგმო შეერთებული შტატების მიერ შექმნილი „პროგრესისათვის კავშირის“ საქმიანობა. ამ ორგანიზაციამ ვერაფერი გააწყო სილატაკისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში. რომ ყოფილიყო გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის გაუქმების შესახებ, თქვა მან, ისტორიაში მისი არსებობის ნაკვალევიც კი არ დარჩებოდა.

☐ **როგორც** რომში გამოქვეყნებული ფინანსური კონტროლის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით ჩანს, 1962-1963 ფინანსურ წელს იტალიის ფირმების 97 პროცენტი, რომლებსაც ეკისრებათ გადასახადი, შეეცადნენ მოეტყუებინათ ფინანსური ორგანოები. მათ ამ ორგანოებს წარუდგინეს შემცირებული მონაცემები თავიანთი შემოსავლის შესახებ, რათა თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის.

☐ **საუდის** არაბეთის აღმოსავლეთ რაიონში გაიმართა ხაუდის არაბეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების გაერთიანებული მანევრები.

☐ **ამმა** წლის იანვრიდან 15 აგვისტომდე იაპონიაში საავტომობილო კატასტროფის შედეგად დაიღუპა 7 ათასზე მეტი კაცი. (საკდესი).

გრძელი ქურთისტანი

პარიზი, 16 აგვისტო. (საკდესი). ფრანსს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ინგლისის დედაქალაქის ქურთთა და არაბთა წრეებს, ლონდონიდან იუწყება, რომ ერაყის ქურთისტანში ამ ბოლო 48 საათის განმავლობაში მთავრობის ჯარებსა და ქურთების შეიარაღებულ ძალებს შორის მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები, რათა კონტროლი დააწესონ ყულაღის მთის უღელტეხილებზე, რომლებიც უზრუნველყოფს კავშირს ბაღდა და ფთმასიევებს შორის. ერაყის სამხედრო სარდლობამ მიზნად დაისახა ეს უღელტეხილები ხელში ჩაიგდოს სექტემბრის დადგომამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ერაყის ათმა იძულებული გახდება უარი თქვას ყოველგვარ ცდაზე თავისი კონტროლი დააწესოს ქურთების დასახლებულ ტერიტორიაზე. ქურთისტანი დაბამთრენთანავე აღმოჩნდება დახარჩენი რაიონებისაგან იზოლირებული, რაც მუსტაფა ბარზანის შესაძლებლობას მისცემს გადააგზავნოს თავისი ძალები და მოემზადოს ბრძოლის გასაგრძელებლად.

ერაყის შეიარაღებული ძალები ინტენსიურად ბომბავენ ქურთების სოფლებსა და ყელი-ალის უღელტეხილებს, მაგრამ ყველა მათი ცდის მიუხედავად უღელტეხილები კვლავინდებურად ქურთებს ხელშია.

ტელეგრამა ინდოეთიდან

რევოლუციამ ამ დღეებში რამდენიმე შეკითხვა მიიღო საერთაშორისო საკითხებზე. ჩვენი მკითხველები ინფორმირი რ. ნიკაურაძე, ეკონომ ა. მიქელაძე გვეკითხებიან: რას ნიშნავს „მშვიდობის კორპუსი?“.

ქვემოთ ვთავაზობთ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. პაპიანის წერილს აღნიშნულ საკითხზე.

„მშვიდობის კორპუსი“

იდეოლოგიურ დიეგრესიაში სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხების წინააღმდეგ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილ ეგრეთწოდებულ „მშვიდობის კორპუსს“. იგი მოწოდებულია იბრძოდეს ანტიიმპერიალისტური განწყობილების გაძლიერების წინააღმდეგ ამერიკის კონტინენტზე, აგრეთვე ყველგან, სადაც ხალხებმა თავდადებული ბრძოლით მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა. „მშვიდობის კორპუსი“ წარმოადგენს „ხელოვნურ სუნთქვას“, რომლის დახმარებითაც ცდილობენ ძალღონე შეუნარჩუნონ დაჩაჩანაკებულ იმპერიალიზმს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ „ფსიქოლოგიურ ომში“.

„მშვიდობის კორპუსის“ ოფიციალურად რეკლამირებული ამოცანები სავსებით კანონიერად და კეთილშობილურად გამოიყურება. „მშვიდობის კორპუსი“, — გარაკადა, მაგალითად, პრეზიდენტმა კენედიმ, — ღაეხმარება სხვა ქვეყნებს კანონიერი მიზნების მიღწევაში — თავისუფლებისა და ხელსაყრელ შესაძლებლობათა მოპოვებაში“. კორპუსის შემადგენლობაში, როგორც წესი, იღებენ ახალგაზრდებს, რომლებიც მზად არიან თითქოს უსასყიდოდ ამრომონ ახალი, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, დაეხმარონ მათს მოსახლეობას მოაწესრიგოს ცხოვრება მოპოვებული დამოუკიდებლობის პირობებში. მათ შორის უნდა იყოს მასწავლებლები, ინჟინრები, ექიმები, მედიცინის დები, ფერმერები, საერთოდ — ყველა იმ პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდა სახელმწიფოებს მწვავედ სჭირდებათ. თითქოს, სამართალი არაფერია. ყველაფერი დარბაისლურად და კეთილშობილურად გამოიყურება.

მაგრამ „მშვიდობის კორპუსის“ ამ ფასადს მიღმა იმალება სულ სხვა მიზნები, რომლებისთვისაც არის იგი შექმნილი. ნამდვილი მიზნები რომ დამალოს, ოფიციალური ვამბენგტონი ამტკიცებს, თითქოს „მშვიდობის კორპუსი“ დაკავშირებული არ არის ამერიკის პოლიტიკასთან. მაგრამ ეს განცხადებანი ნავარაუდევია მიამიტი ადამიანებისათვის. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავეცნოთ კანონს კორპუსის შექმნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს პრეზიდენტი კენედი (აქვე უნდა ითქვას, რომ ეს კანონი მთლიანად როდია გამოქვეყნებული ამერიკის შეერთებულ შტატებში). კანონში ნათქვამია, რომ „მშვიდობის კორპუსი“ სახელმწიფო დეპარტამენტის უშუალო გამგებლობაშია, ხოლო კორპუსის ხელმძღვანელს სარჯენტ შრაივერს მინიჭებული აქვს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის წოდება და იგი ანგარიშვალდებულია სახელმწიფო მდივან დინ რასკის წინაშე. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ კორპუსი სინამდვილეში წარმოადგენს სახელმწიფო დეპარტამენტის დანამატს, ამერიკის დიპლომატიის იარაღს.

„მშვიდობის კორპუსის“ შექმნის შემდეგ ორ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა (იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის მითითებით 1961 წლის მარტში შეიქმნა), მაგრამ უკვე ახლა მის რიგებშია მრავალი ათასი ადამიანი, რომლებმაც სწავლა გაიარეს სპეციალურ სკოლებში. 1962 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალაში შევიდა კანონი „მშვიდობის კორპუსის“ გაფართოების შესახებ. ამერიკის სენატმა კენჭისუყრელად მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც პრეზიდენტის განმეორებით ითქმის ყველა ელემენტი, რომლებიც მენდელე

სპარტაკიადის ფინიში

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მსოფლიოს ჩემპიონი რეკორდსმენი

მოსკოვი. 17 აგვისტო. (ტელეფონით). ეს დღე სპარტაკიადიათვის გადამწყვეტი, ანუ, როგორც იტყვიან, ფინიშის დღე იყო. სხვებთან ერთად ფინალი ჰქონდათ ჩვენს გროსმაისტერებსა და ოსტატებს. ყველაფერი დამოკიდებული იყო უკანასკნელი ტურის გადადებული პარტიების დამთავრებაზე. პირველ რიგში კი მოსკოვისა და რსფსრ-ს გუნდებს შორის. მართალია, გაიმარჯვეს მოსკოველებმა, მაგრამ ჩემპიონობისათვის ნახევარი ქულა დაკლდათ. ოქროს მედალი მოიპოვა რსფსრ-ს გუნდმა (30 ქულა). მომდევნო ადგილები დაიკავეს მოსკოვის (29,5 ქულა), ბელორუსიის (25 ქულა), ლენინგრადის (24 ქულა), უკრაინის (23 ქულა) და საქართველოს (18,5 ქულა) გუნდებმა.

უკრაინისა და საქართველოს მოჭადრაკეთა პაექრობაში წარმატება ხვდა საქართველოს კოლექტივს 5,5-4,5. ოსტატმა გურგენიძემ დაამარცხა გროსმაისტერი გელერი.

— საქართველოს ახალგაზრდა კოლექტივისათვის მე-6 ადგილი. — განაცხადა ხაუბარში საერთაშორისო ოსტატმა ვ. გოგლიძემ, — უთუოდ დიდი წარმატებაა, აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ისეთი გუნდები, როგორიცაა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის კოლექტივები, ფინალშიც კი ვერ მოხვდნენ. ყაიმი მოსკოვის გუნდთან 5:5 და გამარჯვება უკრაინელებთან შემთხვევითობაა ოდენ მიეწერება. იგი მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა დაოსტატებას და წინსვლას.

როდესაც გადავავლეთ თვალი გათამაშების ცხრილებს და პირველობისათვის მებრძოლთა შედეგებს, მსოფლიოს ჩემპიონი ჩონა გაფრინდაშვილი გამარჯვებათა რაოდენობით ზენიტში აღმოჩნდა. 8 მოგება და მხოლოდ ერთი ყაიმი (ზვორიკინასთან), ჭეშმარიტად მაღალი ტექნიკური შედეგია. ნონას აქ სპარტაკიადის რეკორდსმენს უწოდებენ.

მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა ორი დამარცხება განიცადა ფინალში და საერთოდ 5,5 ქულა შეაგროვა. გურგენიძისათვის, რომელიც პირველ დაფაზე თამაშობდა გროსმაისტერთა წინააღმდეგ, 4,5 ქულის შეგროვება დიდი გამარჯვებაა. აი ჩვენი გუნდის სხვა წევრების ქულები ნახევარფინალჩა და ფინალში: ბუსლაევი — 3 ქულა, შიშოვი — 3 ქულა, ლომაია — 2,5 ქულა, კალატოზიშვილი — 3 ქულა, ჩიქოვანი — 4,5 ქულა, ჯინჯიხაშვილი — 6 ქულა, ჩაიკოვსკაია — 5,5 ქულა, ალექსანდრია — 3 ქულა.

საქართველოს წყალბურთელებს — ვერცხლის მედლები

დღეს შედგა წყალბურთელთა ტურნირის უკანასკნელი შეხვედრები, რომლებსაც გაოცამაზეთა ცხრილში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. ლიდერმა — მოსკოვის ნაკრებმა უკანასკნელი მატჩიც ჩინებულად ჩაატარა, დაამარცხა უკრაინის გუნდი ანგარიშით 5:2 და გასული სპარტაკიადების მსგავსად ოქროს მედალი მოიპოვა. ათი შესაძლებლობიდან 10 ქულა კოლექტივის მონოლითურობასა და შესანიშნავ სპორტულ ფორმაზე მეტყველებს. საერთო აღიარება ჰპოვა საქართველოს წყალბურთელთა მაღალმა ტექნიკურმა ბრძოლამ. ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ ერთადერთი მატჩი წააგეს მოსკოვის გუნდთან და 8 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვეს. დღეს უკანასკნელ შეხვედრაში მათ დაამარცხეს აზერბაიჯანის გუნდი 3:2.

მესამე პრიზორები იყვნენ უკრაინელები. ლენინგრადისა და რსფსრ-ს წყალბურთელებმა მეოთხე და მეხუთე ადგილები გაიყვეს. მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა აზერბაიჯანის გუნდი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წყალბურთელებმა გასულ სპარტაკიადასთან შედარებით ერთი ადგილით წინ წაიწიეს.

კალათბურთელებმა ადგილები გაინაწილეს

17 აგვისტო კალათბურთელთა შეხვედრების უკანასკნელი დღე იყო. გაიმართა გადამწყვეტი შეხვედრები სამივე ფინალურ ჯგუფში. საქართველოს გუნდების საბოლოო შედეგია: ვაუები მე-7, ქალები მე-13 ადგილი.

ბრძოლა პირველ ფინალურ ჯგუფში ვაჟთათვის მოსკოველთა ძლიერი კოლექტივის უპირატესობით წარიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო ჩემპიონობაც მოიპოვეს. მომდევნო 5 ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, ლენინგრადისა და ესტონეთის კოლექტივებმა.

ქალთა გუნდებს შორის ბრძოლაში გამოირჩეოდნენ ლატვიელი სპორტსმენები. მათ უკანასკნელ დღეს დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორეზე აღმოჩნდა ლენინგრადის გუნდი. დანარჩენი ოთხი ადგილი ასე განაწილდა: მოსკოვი, რსფსრ, ლიტვა და ბელორუსია.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საერთოდ, კალათბურთში ადგილები ნაწილდება ქალთა და ვაჟთა გუნდების მაჩვენებლების ჯამით, გამოდის, რომ პირველ და მეორე ადგილებს იყოფდნენ მოსკოვისა და ლატვიის გუნდები.

უკანასკნელი საგზატაკეცილო...

დღეს ველოსრბოლებსაც ასპარეზობის ფინიში ჰქონდათ. ესენი იყვნენ საგზატაკეცილო რბოლის მონაწილენი. უკანასკნელი დღის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება ქალთათვის ჯგუფურ რბოლაში 62 კილომეტრზე. განსაკუთრებით მძაფრი აღმოჩნდა ფინიში. აქ პირველები იყვნენ რსფსრ-ს ველოსრბოლები. საერთოდ, საგზატაკეცილო რბოლაში პირველი იყო რსფსრ-ს გუნდი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს მოსკოვისა და ესტონეთის სპორტსმენებმა. საქართველოს გუნდი მე-15 იყო.

ჩვენი ფრენბურთელების წარმატება

ფრენბურთის ბადეებთან მიწყნარდა ბრძოლა. შეჯამებულია რამდენიმე დღის შეხვედრათა შედეგები. ვაუთა კოლექტივებს შორის ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე დედაქალაქის კოლექტივმა პირველობა უკვე გაინაღდა. მეორე იყო რსფსრ-ს გუნდი. საქართველოს ფრენბურთელებმა მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავეს. ქალთა კოლექტივებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: — მოსკოვი, ლენინგრადი, რსფსრ.

ა. მეტრეველი და ი. ერმოლოვა ფინალში

მართალია, 17 აგვისტო სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის დახურვის დღე იყო, მაგრამ ეს იმას რომელი ნიშნავს, რომ ყველა სახეობა ბაქანზე ამოიწურა ბრძოლა. მაგალითად, დედაქალაქის კორტებზე ხვალაც გაგრძელდება პაექრობა. ეს იქნება ფინალური შეხვედრები, რომლებმაც პირად ასპარეზობაში უნდა გამოავლინოს უძლიერესები — ახალი ჩემპიონები. დღეს შედგა ნახევარფინალური შეხვედრები. აქ ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ ა. მეტრეველი და ი. ერმოლოვა. მათ დაამარცხეს სვეიბინი და კული და ფინალში გავიდნენ.

მოსკოვის გუნდი — ჩემპიონი

როგორც ცნობილია, სპარტაკიადაზე პირველობისათვის ბრძოლა თავიდანვე უკრაინისა და მოსკოვის ნაკრებ კოლექტივებს შორის წარიმართა. უნდა ითქვას, რომ უკრაინელებს უკანასკნელ დღეებამდე ლიდერობა არ დაუთმიათ, მაგრამ სპორტული თამაშებისა და კრივის შედეგებმა მათი შანსები შეამცირა. წინ გაიჭრნენ მოსკოველები და გასული სპარტაკიადების მსგავსად კვლავ ჩემპიონობა მოიპოვეს.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან) საქართველოს გუნდის წარმომადგენლები ბ. ქამენსკი, ი. გიორგობიანი, ბ. ნიკიტინი და ა. გუტაკაევი, რომლებმაც 4×100 ფინალურ ცურვაში მესამე ადგილი მოიპოვეს.

ფოტო გ. კოკვაძისა. (საქდესის ფოტოკორესპ.).

მოგზეგანი ლატარიის ბილეთებით

ხიდნაღის რაიონის ცენტრალურმა შემხახველმა სალარომ დაიწყო საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1963 წლის (მეხუთე გამოშვების) ლატარიის ტირაჟის მოგებათა გაცემა.

დაბა წნორში მცხოვრებმა, „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული გაერთიანების მთავარი ბუღალტრის მოადგილემ დ. ჯავაშვილმა მოიგო ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

სიღნაღის ქალაქის კოოპერატივის თანამშრომელმა გ. ნადიკაშვილმა წარმოადგინა ლატარიის ბილეთი, რომელსაც ხვდა პიანინო.

კავშირგაბმულობის სიღნაღის რაიკანტორის რადიოტექნიკოსმა ვ. ჯალიაშვილმა ლატარიის ბილეთით მოიგო რადიოლა „ესტონია-2“.

მ. ზურიაშვილი.

ინდური კინოფილმების ფესტივალი

თბილისში იწყება ინდური კინოფილმების ფესტივალი, რომელიც 31 აგვისტომდე გასტანს. ფესტივალი გაიხსნება კინოთეატრებში „რუსთაველსა“ და „ამირანში“, შემდეგ კი ფილმები დემონსტრირებული იქნება დედაქალაქის სხვა კინოთეატრებშიც — „ოქტომბერში“, „საქართველოში“, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში და „კოსმოსში“.

თბილისელები ნახავენ კინოფილმს „ქვეყანა, სადაც მიედინება მდინარე განგესი“ ორ სერიად. ფილმში მონაწილეობს ჩვენი მაყურებლისთვის კარგად ცნობილი კინომსახიობი რაჯ კაპური. ნაჩვენები იქნება აგრეთვე „აპურის ოჯახი“, „პრემიერ-მინისტრი ტიმარუსუ“, „ექსპედიცია“, „ველური ყვავილი“, „გაუმაძღარი ქვები“.

60 ათასი მგზავრი — თვითმფრინავით

ქუთაისი. (საკ. კორ.). საჰაერო ლაინერით ქუთაისიდან შეიძლება იფრინო მოსკოვამდე, ჩვენი სამშობლოს ბევრ ქალაქამდე.

ყოველდღიურად რამდენიმე რეისს აკეთებს თბილისი-ქუთაისის თვითმფრინავი. ქუთაისიდან მგზავრები გადაჰყავთ მაღალმთიან მესტიაში, ცაგერში, ამბროლაურში, ონში, აგრეთვე ბათუმში, ფოთში, ზუგდიდსა და მახარაძეში.

ქუთაისის სამოქალაქო აეროპორტში მარტო მიმდინარე წლის შვიდ თვეში გადაიყვანა 60.480 მგზავრი და გადაჭარბებით შეასრულა მგზავრ-კილომეტრების, აგრეთვე საერთო ტვირთზიდვისა და საფოსტო გადაზიდვის გეგმები.

„ქუთათურები“

ამას წინათ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა კოლექტივი სტუმრად იყო თელავის რაიონში. რაიონის მშრომელთათვის წარმოადგინეს ლევან სანიკიძის სამოქმედებიანი კომედია „ქუთათურები“, რომლის დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა დაბა ახმეტაში, სოფელ აკურაში და სხვ.

ე. მეთოდიშვილი.

თელავი.

ერეკლეულ ბიბლიოთეკა



თბილისი. ჩანჩქერი ბოტანიკურ ბაღში.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მაქსიმ გორკის „ფეხსაცმელი“

ჩემს მაგიდაზეა საფერფლე, იგი უკვე 60 წლისაა! ეს იმიტომ ვიცი, რომ ეს საფერფლე ბიძაჩემმა — პუტილოვის ქარხნის ხარატმა გააკეთა.

საფერფლე ძალიან მძიმეა, თუმცა ზომით დიდი არ არის. გამოხატავს მეტად გაცვეთილ, მთლად დაჭლანულ ფეხსაცმელს. მარჯვენა მხრიდან წყვილთან ორი დიდი ნახვრეტი აქვს. ფეხსაცმელი რომ ასწიოთ, დაინახავთ, რომ ლანჩა ძალიან გაცვეთილია, ხოლო ქუსლი მობრეცილი. მკაფიოდ ჩანს მარჯუნად შეკრული ზონარი, ლანჩაზე კი რამდენიმე ლურსმანი, რომელთა თავები გულდასმით და მზრუნველად არის გაკეთებული.

საფერფლეს გორკის „ფეხსაცმელი“ ჰქვია. იმ წლებში, როცა ის გაკეთდა, გორკი განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო და ყველა იცნობდა მის არაჩვეულებრივ ბიოგრაფიას. რუსულ ლიტერატურაში ის სწორედ ასეთი ფეხსაცმლით შემოვიდა. ასეთი საფერფლე მხოლოდ რამდენიმე ცალია. კოლექციონერები მათ დიდ ფასებად თვლიან. საფერფლე მემკვიდრეობით დამრჩა მამისაგან და ახლა ქალაქ ვოლგოდონსკშია (როსტოვის ოლქი), სადაც მე ვცხოვრობ. ალექსი მაქსიმეს-ძე, მისი ქვრივის ეკატერინე პავლეს ასულის სიტყვით, ცდილობდა ეშოვნა სახსოვრად ასეთი საფერფლე, მაგრამ ვერა და ვერ მიაგნო ამ „ფეხსაცმელს“. ეს თვითონ ეკატერინე პავლეს ასულმა მომწერა. სავსებით შესაძლებელია, რომ ახლა მაქსიმ გორკის „ფეხსაცმელი“, რომელიც ჩემთან ინახება, ერთადერთი იყოს საბჭოთა კავშირში.

ვლ. სმირენსკი,
პენსიონერი.

უნიკალური სიმღერები

საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა დასაბეჭდად მოამზადა 72 უნიკალური ქართული ხალხური სიმღერა, რომლებსაც უსასყიდლოდ მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

სიმღერები ამოკრეფილია საქართველოს მდიდარი მუსიკალური ფოლკლორიდან. მათ შორის არის ძველი და ახალი სიმღერები — „სუფრული“, „სადღესასწაულო“, „მაყრული“, „სინდოთა კოლმეურნეობას“, „ვახტანგური“, „მეზავრული“, „ბროლის ყელსა“, „წყალტუბოდან ქუთაისში“, „ჩემო ნათლიდედაო“, „ენგურის ხეობას“, „ჩაგუნა“ და სხვ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	18	10	7	1	20—5	27
„ზენიტი“ (ლ.)	20	9	8	3	29—19	26
სკა (როს.)	19	9	6	4	30—15	24
„დინამო“ (თბ.)	18	9	6	3	30—17	24
„სპარტაკი“ (მ.)	19	11	2	6	34—21	24
„დინამო“ (მინ.)	19	8	8	3	26—16	24
სკა	19	7	10	2	14—7	24
„ნეფტიან.“ (ბ.)	18	9	4	5	25—18	22
„ტორპედო“ (ვ.)	19	8	5	6	33—27	21
„ტორპედო“ (ჭ.)	18	5	10	3	12—10	20
„შახტიორი“ (დ.)	19	6	8	5	12—13	20
„ტორპედო“ (მ.)	19	6	7	6	24—21	19
„კაირატი“ (ალ.)	19	7	4	8	16—22	18
„ლოკომოტ“. (მ.)	19	3	9	7	17—23	15
„კრ. სოვეტ“. (კ.)	19	5	4	10	20—25	14
„მოლდ“. (კიშ.)	19	3	8	8	14—25	14
„არარატი“ (ე.)	19	5	3	11	20—30	13
„ავანგარდი“ (ხ.)	19	4	5	10	12—29	13
„დინამო“ (ლ.)	20	0	9	11	11—31	9
„პახტაკ“. (ტ.)	19	1	5	13	13—39	7

„სპარტაკი“—ცსკა

„სპარტაკი“ - ცსკა — დედაქალაქის ეს ძველი სპორტული მეტოქეები და საკავშირო ჩემპიონატის „უხუცესი“ ეტაპიანები — გუშინ შეხვდნენ ერთმანეთს სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. მატჩმა, როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია და დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 2:1.

მატჩი ლენინგრადში

გუშინ ლენინგრადში გაიმართა მეორე წრის პირველი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ზენიტი“ და „დინამო“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1 : 1.

ახალი რეკორდი

ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატზე ცურვაში 16 წლის მოყვანილ კ. ელს� 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 1 წუთი და 06,5 წამ. წინა მოღწეული, რომელიც კანადელ სპორტსმენს მ. სტიუარდს ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულია 0,8 წამით. (საკდესის

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყებიან რესპუბლიკის სახალხო არტისტის

პეტრე (პიერ) კალისტრატეს-ძე კოზახიძის

გარდაცვალებას.

ეს ათასი მგზავრი — თვითმფრინავით

ქუთაისი. (საკ. კორ.). საჰაერო ლაინერით ქუთაისიდან შეიძლება იფრინო მოსკოვამდე, ჩვენი სამშობლოს ბევრ ქალაქამდე.

ყოველდღიურად რამდენიმე რეისს აკეთებს თბილისი-ქუთაისის თვითმფრინავი. ქუთაისიდან მგზავრები გადაჰყავთ მაღალმთიან მესტიაში, ცაგერში, ამბროლაურში, ონში, აგრეთვე ბათუმში, ფოთში, ზუგდიდსა და მახარაძეში.

ქუთაისის სამოქალაქო აეროპორტში მარტო მიმდინარე წლის შვიდ თვეში გადაიყვანა 60.480 მგზავრი და გადაჭარბებით შეასრულა მგზავრ-კილომეტრების, აგრეთვე საერთო ტვირთზიდვისა და საფოსტო გადაზიდვის გეგმები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

19 აგვისტო

პირი — რუსთაველის სახელობის, ამირანი (სახზამთრო), ისანი (სახზამთრო), საქართველო (ბწკანე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (სახზამთრო), თანამგზავრი, ოფიცერთა სახლი, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი — რუსული სასწაული (2 სერია), ოქტომბერი, სპარტაკი, კოლხიდა (სახაფხულო), საქართველო (სახაფხულო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, გაზაფხული. პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — ხომრობითაც და სერიოზულადაც.

ტელევიზია

18 აგვისტო

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“ (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.15 — მხატვრული ფილმი „ალექსანდრე ნეველი“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისთვის, 18.40 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.00 — კინოქურნალი, 19.10 — „იმათთვის, ვინც შინ დარჩა“ — საესტრადო-სატელევიზიო ალმანახი „სალაღობო“, 20.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.20 — გადაცემა „გამოჩენილი კინოხელოვანი ნიკოლოზ შენგელაია, 21.05 — მხატვრული ფილმი.

19 აგვისტო

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.00 — განცხადებები, 19.05 — კინონარკვევი, 19.25 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ჩვენი ჯანმრთელობის უფიცერსიტეტი“, 19.45 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის „ავამოქმედოთ ოეზერვები“, 20.20 — „კინოკურნალი, 20.30 — სიმღერის მუსიკის კონცერტი, 20.55 — მხატვრული ფილმი „თოფები და მტრედები“, 22.25 — ახალი ამბები.

რადიო

19 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.40 — ბ. კვერნაძის საფორტეპიანო პიესები, 08.10 — კონცერტი — „დიდია ჩემი ქვეყანა“, 09.20 — ნაწყვეტები კ. მელიქიშვილისა და ი. გეჯაძის ოპერებიდან, 11.15 — კონცერტი ბრამსის ნაწარმოებებიდან, 12.10 — საუბარი — „ვინც სახოგადოებას პარავს, ის საბჭოთა ადამიანს პარავს“, 12.25 — ტ. ბაქრაძის სიმფონია, 13.40 — ქართული სიმღერები, 17.15 — შ. თაქთაქიშვილის კამერული ნაწარმოებები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის — შემენის საბავშვო ალბომი, 18.10 — სიმღერები სამშობლოზე, პატიოსნებაზე, მშვიდობასა და მეგობრობაზე, 18.45 — საოპერეტო მუსიკა, 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „კომუნიზმის ფორპოსტები“, 20.15 — შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — მსუბუქი მუსიკა, 22.00 — ვ. ბარნოვი. „ტრფობა წამებული“ (ნაწყვეტი რომანიდან), 23.30 — ლ. გოცირიძისა და თ. მუშკუდიანის კონცერტი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.



პაემანზე.
ფოტოეტიუდი ს. თბილელისა.

ჯაბა ჯაბაურა

საძორწინო მზადება იყო ხაშურსა და ჩხოროწყუში. სამეგრელოში ქართლიდან გოგო მიჰყავდათ. გოგოს ოჯახში სუფრა მზად იყო და ნეფესა და მაა მაყრიონს ელოდნენ.

ჩხოროწყუდან ხაშურამდე კარგა ძალი გზაა. ნეფეს, ალექსანდრე მიქაიას, განზრახული ჰქონდა „ვოლგებით“ მისდგომოდა საცოლეს. უწინ ცხენებით იცოდნენ მეფეს და მისმა მაყარმა ქალიანთში მისვლა.

ალექსანდრეს ჯერ რაღაც საქმეზე შეაგვიანდა ზუგდიდი. ნაშუალამევი იქნებოდა, გფრენენ „ვოლგას“ ჩხოროწყუსაკენ მიჰყვებოდა. იქ მაყარს დარაზმავდა და აგერ, ხაშურშიც მოასწრებდნენ ჩაფრენას.

იჩქარის „ვოლგა“. მიუხარია ალექსანდრეს. თანაკურსელ გოგონას ირთავს. ნახატრი დღე დასდგომია ორივეს. პირველი კურსიდან შეჰყვარებოდათ ერთმანეთი და ინსტიტუტის კარი ისევ შეყვარებულებმა გამოიხურეს. ალექსანდრეს მამა საგანგებოდ ემზადებოდა ქორწილისათვის. მეგრულ ადათ-წესებს არ ღალატობდა და ისე უბდოდა დახვედრადა რძალს, რომ ახალ ნათესაობაში თავი არ მოსჭრიდა. და აი ახლა, ერთმანეთის შორიშორ, ორ პატარა ქალაქში სუფრებია გაშლილი, ორი აფანაცქალებული გული შეერთებას ელის...

მიფრინავს „ვოლგა“.

ზუგდიდში ალექსანდრეს გზა დაუღოცეს მეგობრებმა და აღუთქვეს ღამით ქორწილში სწვეოდნენ.

ალექსანდრე თავისთვის ღიღინებდა.

— იმერეე ბარემ, — ეუბნება შოფერი. ჩხოროწყუელების მომღერალთა გუნდის წამყვანი სოლისტი გვერდში ეჯდა და აბა მის მოსმენას რა სჯობდა!

— ბუჭუ, მოგიკვდეს ჩემი თავი. დღეს თუ არ გიმღერე, აბა როდისღა უნდა ვიმღერო, — თვალებს კეესავს ალექსანდრე. — ოღონდ უფრო სწრაფად გაუშვი მანქანა.

— ამაზე სწრაფად რაღა იქნება. მიფრინავთ და ეგ არის.

ალექსანდრე ყელს იღერებს და მღერის, ზარივით რეკავს ძისი ხმა, იქნებ შენც მოგისმენია, ჩემო მკითხველო, რესპუბლიკური ოლიმპიადა რომ გაიმართა, იქნებ ოპერის თეატრში მჯდარხარ და ტაშიც დაგიკრავს მისთვის.

დაბალი და ჩადგმული ვაჟკაცია, ქერა ულვაშებით, ცოცხალი მოუსვენარი თვალებით.

რა ვიცი, იქნებ არც შეგიმჩნევია, არ გახსოვს, ოლიმპიადაზე სულ მაღლა რომ იდგა გუნდის ბიუმში. მაგრამ აგერ შოფერმა ბუჭუმ კარგად იცის ალექსანდრეს სიმღერის მაღლი.

მიფრინავს „ვოლგა“. ირგვლივ სამეგრელოს გორაკებია, ჩაითა და ციტრუსებით დამშვენებული.

სოფელი ზანა ჩხოროწყუს გზაზე. ცოტა კიდევ, და მაყრიონი ისევ გზა და ისევ სისწრაფე. მცირე მოსახვევი და უცაბ... გზის პირას აყირავებული საბარგო მანქანა.

— ჰე, ბიჭო! ეს რა მომხდარა! — ალექსანდრეს უცაბ გაუწყდა სიმღერა, გული შიშმა შეუქანა.

მუხრუჭების წივილით გაჩერდა „ვოლგა“. აქეთ-იქით სწრაფად გაიღო კარები და ორი ახალგაზრდა თხრილთან აყირავებულ საბარგო მანქანასთან გაჩნდა. იქ ერთი ბერიაკი იყო და ორიოდე ცნობისმოყვარე ქალი.

—რა მოხდა, რა იყო?

— ცოდვა, ნანა, ცოდვა... საშინელება!

— დაზარალდა ვინმე?

— საშინელებაა, ნანა!.. ოცი კაცი დაშავდა... ზოგს თავი აქვს გატეხილი, ზოგს ხელი... ნანა, ნანა ჩქმი ცოდა!.. რა იხილა ჩემმა თვალმა! ქალმა მუხლებზე დაიკრა ხელები და სახე სატირლად დაემანჭა.

—სად წაიყვანეს დაშავებულნი?

— ზანაში, ნანა შენი ჭირიმე... საავადმყოფო აქვთ პატარა.

ალექსანდრე წამით გახევდა, საათს დახედა და მერე უსიტყვოდ შეაღო თვალი ბუჭუს, რომელიც ასევე გაოგნებულიყო მომხდარი უბედურების გამო.

— ბუჭუ!

—რა იყო, საშა?

— სწრაფად ზანაში უნდა მივიდეთ, საავადმყოფოში.

— ახლა მაგისი დროა? გველოდებიან.

— ექვსი წელია ამ დღეს ელიან, ორი საათი კიდევ გველოდონ, რა მოხდა... გული არ მითმენს, ბუჭუ, შენი ჭირიმე.

— არა, მეც მტკივა გული, მაგრამ... კაცმა რომ თქვას, ჩვენ ახლა...

— ლაპარაკში უფრო ვკარგავთ დროს.

ალექსანდრე სწრაფად ჩაჯდა „ვოლგაში“, კარი მიიჯახუნა. მანქანამ მთავარი გზიდან გადაუხვია და ზანას საავადმყოფოსკენ გაფრინდა. საავადმყოფოს შენობას ხალხი მისდოდა, იყო ჩოჩქოლი, ტირილი, მითქმა-მოთქმა და გნიასი. უცნობი ახალგაზრდებისათვის არავის მიუქცევია ყურადღება, ყველა თავის დარდს წაეღო. საავადმყოფოს კარები დაეკეტათ და არავის უშვებდნენ.

— დიდუ, დიდუ!.. ეს რა უბედურება დაგვმართა! — ისმოდა ხალხში.

ალექსანდრესთვის აქ ყველა უცნობი იყო, მაგრამ ექთანებს მკაცრად შეხედა. მისმა ხმამაღალმა ბრძანებამ სწრაფად აამოქმედა ისინი, კალაპოტში ჩააყენა, და ექიმის ხელში სწრაფად ჩნდებოდა ბამბა, იოდი, არტაშინი, ბანდი... წამითაც არ ცხრებოდა საავადმყოფოს შიგნით ავადმყოფების მოთქმა და გარეთ ხალხის გნიასი. ამ ხმაურში სწრაფად მოქმედებდა ექიმი.

კუთხეში იდგა მოხუცი ქალი. მას არ შეეძლო მოხმარებოდა ექიმს. არ შეეძლო ისე სწრაფად შეესრულებინა მისი ბრძანება, როგორც გოგონები ასრულებდნენ. იდგა და ლუღლუღებდა:

ალექსანდრესთვის ეს ყველა უცნობი იყო, მაგრამ ექთანებს მკაცრად შეხედა. მისმა ხმამაღალმა ბრძანებამ სწრაფად აამოქმედა ისინი, კალაპოტში ჩააყენა, და ექიმის ხელში სწრაფად ჩნდებოდა ბამბა, იოდი, არტაშინი, ბანდი... წამითაც არ ცხრებოდა საავადმყოფოს შიგნით ავადმყოფების მოთქმა და გარეთ ხალხის გნიასი. ამ ხმაურში სწრაფად მოქმედებდა ექიმი.

ალექსანდრე საავადმყოფოს კარის სახელურს დაეჭაჭანება. მან დერეფანში დაინახა თუ როგორ შეშფოთებულნი დარბოდნენ ექთანები. ბამბას, ბინდსა და წამლებს მიარბენინებდნენ. კარს არ აღებდნენ. მაშინ ალექსანდრემ მუშტი დაუშინა და სიფრცხეე აანთო. ბუჭუ გვერდში ამოსდგომოდა და გაოცებული შეჰყურებდა ალექსანდრეს საქციელს.

კარს შეშინებული ქალი მოადგა, ანთებული ახალგაზრდა რომ დაინახა, კარი ოდნავ გააღო. ალექსანდრემ იძალა და დერეფანში გაჩნდა.

— მე ექიმი ვარ და თუ შემიძლია დაგეხმაროთ...

— ნანა, შენი ჭირიმე!.. ჩვენი ექიმი აქ არ არის და ამ საცოდავ გოგოებს ვერა გაუწყვიტ რა.

დატრიალდა ალექსანდრე. სწრაფად გადაიცვა თეთრი ხალათი, დაიბნა ხელი და მიაშურა ოთახს. სულ რაღაც ორიოდე წამში ალექსანდრემ მოასწრო თვალი გადაევლო საავადმყოფოს მთელი პერსონალისათვის, ორიოდე ექთანისა და მომვლელ-დამლაგებლისათვის, რომლებიც ამ მძიმე წუთებს საავადმყოფოში შეესწრნენ, ყველანი დაბნეული და შეშინებული იყვნენ. დასახიჩრებულთა მოთქმასა და წივილს მთლად დაეკარგა მათთვის სიმხნევე და კის რა გაეკეთებინა, ვის რა გაეწყო, არ იცოდნენ.

—ნანა, შენ დაილოცე! შენმა დედამ გაიხარა ქვეყანაზე!

ახალგაზრდა ქალი წევს ვაფითრებული, თვალებმილულები. ალექსანდრე სინჯავს და მაშინვე კვლავ მკაცხედ გაიმის მისი სიტყვები:

— ტკენის შერყეულა. გაუნძრეველად!

მეორე გოგონა თავს სიმწრით აქნევს, ტუჩებს იკბენს, მკლავის მოტეხილობა აქვს.

— არტაშანი! თაბაშირი!

— თაბაშირი არა გვაქვს, ექიმო.

— მაშ რა გაქვთ! ჩქარა ბლომად ბანდი!

გაოფლიანდა ალექსანდრე. წვიმაშიც არ დასველებულა ასე. ხმაც ჩაეხრინწა, ხოლო ბოლო ბრძანებები მას თავადაც აღარ ეყურებოდა.

— ნანა, შენ დაილოცე! შენმა დედამ გაიხარა ქვეყანაზე! ლუღლუღებდა მოხუცი ქალი.

ბევრი დაამდა. ბევრს შვება მიეცა.

ბანდის უკანასკნელი გადახვევა, და ყველაფერი დამთავრდა. ალექსანდრე სკამზე ჩაიკეცა და კედელს თავი მიაღო. მოღლილი თვალებით გახედა ექთანებს, რომლებიც ჯარისკაცებივით გაშეშებულიყვნენ და კვლავ ბრძანებას ელოდნენ. გაოცებული უცქეროდნენ ექიმს.

ალექსანდრეს სუსტი ღიმილი მოეფინა სახეზე, სითბო ჩაუდგა თვალებში და